



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 20

19/02/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ თუზში, ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მდებარე 37 მ² არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ერთი წლის ვადით გადასცეს მოქალაქე თორნიკე ჭანტურიძეს (პ/ნ 21001040589).

მუხლი 2. 1 (ერთი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 555 (ხუთასორმცდათხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო